



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოლნისის ტუფი

ბოლნისის ტუფი, კვარცხორფირული შედგენილობის ტუფლავა და ლავა.

ყვითელ ფონზე სხვადასხვა ტონის ყავისფერი კლაკნილი ბოლები, რ-საც რკინის ჰიდროჟანგი აჩენს, ბ. ტ-ს ორიგინ. იერსა და სილამაზეს სძენს. ბ. ტ-ის ფიზ.-მექან. თვისებებია: სიმკვრივე 1975-2280 კგ/მ³, დროებითი წინაღობა გაჭყლეტაზე მშრალ მდგომარეობაში 403 - 1229 კგ/სმ², წყალშთანთქმა 3,5 - 10,35%, ყინვაგამძლეობა - ნორმალური.

ბ. ტ-ის საბადო თბილისიდან 60 კმ-ზე მდებარეობს ბოლნისის მუნიციპ-ის სოფლების წითელსოფლის (ახლანდ. ხატისსოფლის), სარაჩლოს (ახლანდ. მამხუტის), ფახრალის (ახლანდ. ტალავრის), ქვეშის, ზემო გულავრის (ახლანდ. წიფორის) მიდამოებში. პროდუქციული ფენა წარმოადგენს ზედაცარცული ასაკის ვულკანოგენური წყების ერთ-ერთ ჰორიზონტს).

საბადოს ჯერ კიდევ ისტ. წარსულში ამუშავებდნენ. ბ. ტ-ს ფართოდ იყენებენ ნაგებობათა მშენებლობაში (თბილისის სიონის ტაძარი, ყოფ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვე. ფილიალის შენობა, საქართვე. მთავრობის სახლი, საქართვე. ეროვნ. აკადემიის შენობა, ყოფ. ცენტრ. ტელეგრაფის შენობა და სხვ.).

გ. ნადარეიშვილი
